საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მორჩილაძე აკა

აკა მორჩილაძე

მორჩილაძე აკა (ნამდვ. სახელი და გვარი ახვლედიანი გიორგი ზურაბის ძე) (დ. 10. XI. 1966, თბილისი), მწერალი. 1988 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა თსუ-ში, იყო სპორტ. ჟურნალისტი გაზ. „რეზონასსა“ და „სარბიელში“; „იმედსა“ და საზოგადოებრივ მაუწყებელზე მიჰყავდა ტელეგადაცემები: „უცნობი საქართველო“ (2004–06), „დაკარგული წიგნები“ (2018-იდან). მ-მ მკითხველის ყურადღება იმთავითვე მიიპყრო რომანებით: „მოგზაურობა ყარაბაღში“ (1992) და „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ (1995). ავტორია მოთხრობების კრებულებისა: „შობა ღამის ალქაჯები“ (2001), „წიგნი“ (2003) და რომანებისა: მადათოვის ტრილოგია – „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ (1998), „გაქრები მადათოვზე?“ (2001), „ვეშაპი მადათოვზე“(2004); „აგვისტოს პასიანსი“ (2001), „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ (2003), „მამლუქი“ (2009), „მორიდებული ზურმუხტი“ (2013), „ქემერა“ (2014) და სხვ. დოკუმენტური პროზის ნიმუშია „ჩრდილი გზაზე“ (2014), რ-შიც აღწერილია საბჭ. ეპოქის საქართველო XX ს. 90-იან წლებამდე.

მ-ის მხატვრული სამყარო უაღრესად გამორჩეულია სიუჟეტისა და ამბის მრავალფეროვნებით, პოსტმოდერნული თამაშებით, თვალში საცემი ორიგინალურობითა და წერის პარადოქსული მანერით. იგი აყალიბებს და ქმნის საკუთარ ენობრივ სისტემას, რ-შიც დომინანტურია დიალექტური, არქაული, XIX ს. ენა, ძვ. თბილისის კოლორიტული თუ XX ს. 90-იანი წლების ქალაქური მეტყველება.

მ-ის რომანის მიხედვით ს. ახმეტელის თეატრში დაიდგა სპექტაკლი „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ (1999, რეჟ. დ. ანდღულაძე) და გადაიღეს ფილმები: „გასეირნება ყარაბაღში“ (2005, რეჟ. ლ. თუთბერიძე), „ქაღალდის ტყვია“ (2007, რეჟ-ები: ლ. თუთბერიძე, მ. კულუმბეგაშვილი) და „უშენოდ მგონი მოვკვდები“ (2010, რეჟ. ლ. თუთბერიძე).

არის *ლიტ.* პრემია „საბას“ ექვსგზის ლაურეატი (2003, 2005, 2006, 2010, 2012 და 2019) რომანებისთვის: „შენი თავგადასავალი“ (2002), „სანტა ესპერანსა“ (2004), „ვენერას სიზმარი“ (2005), „Maid in Tiflis“ (2007); „obOle“ (2011), „კუპიდონი კრემლის კედელთან“ (2018).

მ-ის თხზულებები თარგმნილია უცხოურ ენებზე.

ს. მეტრეველი